წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | შაბათი 30 ივლისი

# სამშობლო

№ 418

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანას[illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის [illegible] ბულ განცხ დებათა ფასი: ს[illegible] ტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ღრმად დამწუხრებულნი აგნესა (ანნა) ივანეს ასული ნადირაძისა, ნიკოლოზ გალაკტიონის ძე ნადირაძე, მეუღლე მისი თამარა კონსტანტინეს ასული, მღ. სვიმონ სტეფანეს ძე ნადირაძე, კალისტინა სტეფანეს ასული ნადირაძე და ელისაბედ სტეფანეს ასული ინჯგაძისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გადაცვალებას პირველის ძვირფასი მეუღლისა, მეორის დაუვიწყარი მამისა, მესამის მამამთილისა და დანარჩენთა საყვარელი ძმისა ექიმ

გალაკტიონ სტეფანეს ძის ნადირაძისა

დაკრძალვა მოხდება კვირას, 31 ივლისს, გამოსვენება საკუთარ სახლიდან, სოფთიჭის ქუჩა, ნაშუადღევის 4 საათზე პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე.
262—1—1

ქვრივი, კნ. ოლია ვარლამის ასული ერისთავისა, შვილები მისი: ვერა, მარიამ, გიორგი და დავით ალექსანდრეს ასულნი და ძენი ერისთავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველის საყვარელი მეუღლისას, ხოლო დანარჩენი ძვირფასი მამისას.

თავ. ალექსანდრე ნიკოს ძის ერისთავისას.

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 საათზე, თბილისის ქუჩა, სახლი ბარათაშვილისა. გამოსვენება და დასაფლავება მოხდება კვირას, 31 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ი ყ ი დ ე ბ ა.

დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი

სივრცით დაახლოვებით 1500 საჟენი. სემინარიის გვერდით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

256

იძლევა იჯარით ჩემ მიერ იჯარით აღებული

სალორიის აგარაკზე **საეზოვე მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

**პირობების გაგება შეიძლება ა. ფერაძის სტამბაში,**

**ექიმი** ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.
მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე ბოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. **შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ** ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
ნ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**დოქტორი მედიცინისა**
პრივატდოცენტი
**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.
2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**" რედაქც.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

**აძლევს გაკვეთილებს**
**ფრანგ'ულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.
ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე.
აბორინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი
244 ა. ზ. თულაია. თვ.

დ. ლ ა ი ლ ა შ ი.

**კბილის ექიმი**

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს.
სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე ურცის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

28 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება:

გამოლილ ადგილზე

ოსტროვსკის კომედიის მიხედვით ქ-ნ ნილისენკოს, ორლოვის და ბ-ნ ბაკშეევის და პანოვის მონაწილეობით.

ცნობილი სასიმო

სახუმარო.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 1 აგვისტოდან ახალი პროგრამა: **ტანკონის სატახტო ქალაქის განონის სანახაობანი. ჯვაროსანი გზა.** 1914 წლის ომის ეპიზოდი 1 ნაწ. პატეს საუკეთესო მსახიობთა შესრულებული. **ფვედური ასანთი.** ანტ. ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით. მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის მსახიობთა მიერ შესრულებული.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 28 ივლისიდან ახალი პროგრამა

უკუ მიმაგდო, გასთელა ვარდი.

ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ქრონიკა გომონი.** მიმდინარე ამბები.

უბინაო კაცი — ორ აზროვანი ფარსი, 2 ნაწილად. საბუროვის თეატრის მსახიობთა ქ-ნ დუნაევის და ბ-ნ ვერნერის მონაწილ.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 1 აგვისტოდან ახალი პროგრამა.

**ქრონიკა გომონი.** მიმდინარე ამბები.

როგორ აწინაურებენ ცოლები თავიანთ ქმრებს.

ორ აზროვანი ფარსი 6 ნაწ. მთავარ როლებში საბუროვის თეატრის მსახიობნი არიან: ქ-ნნი ბუროკოვსკაია, პანოვა, ბ-ნნი სვეტლოვი და კრამერი.

## გაზ. „სამშობლოს" რედაქცია და კანტორა გადავიდა იქვე ახლოს, თბილისის ქუჩ., კნ. მიქელაძის სახლებში ფოტოგრაფიის გვერდით.

სასწავლებლის დახურვის გამო

ი ყ ი დ ე ბ ა

სასკოლო სკამები (პარტები), სკოლის სხვადასხვა მოწყობილებანი და

საწერი მანქანა

მსურველს ნახვა და პირობების გაგება შეუძლია თბილისის ქუჩაზე, გიორგი გურგენიძის სახლში.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**პეტროგრადი,** 27 ივლისი. ოფიციალური. რუსეთ გერმანიის და ავსტრიის იბრძოლის პირი. სვინიუხას რაიონით მოკლე მანძილის იერიშით ჩვენმა ჯარმა მოპირდაპირის თხრილების ნაწილი დაიპყრო და დაატყვევა 13 ოფიცერი და 600 ჯარისკაცი. მდ. კოროპეცის ნაპირით უკუვაქციეთ მოპირდაპირე გამაგრებულ პოზიციიდან და ჩვენმა ჯარმა დაიპყრო მდ. კოროპეცის მარცხენა ნაპირი დნესტრის შესართავამდე. დნესტრის სამხრეთით გენერალ ლეჩიცკის ჯარი კვლავ სდევნის მოპირდაპირის ჯარს, წაართვა მთელი რიგი მაღლობებისა და სოფლებისა და მიაღწია მდ. ტლუმაჩს (დნესტრის შემდინარეა) საღამოს 6 საათზე 26 ივლისს ჩვენმა ჯარმა ქალაქი ტისმენიცა დაიპყრო, დაიპყრო აგრეთვე მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მაღლობები მდ. დნესტრის მარჯვენა ნაპირამდე და მდ. ვორონას მარჯვენა ნაპირით. ერთობ 25 ივლისს დავატყვევეთ 28 ოფიცერი და 7,400 ჯარის კაცი, მათ შორის 3,500 გერმანელია. წავართვით 5 ზარბაზანი, 63 ტყვის-მტყორცნელი და სამხედრო მასალა.

**კავკასიის ბრძოლის პირი.** გიუმიშხანეს დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მაღლობებზე სძლია ოსმალებს, დაატყვევა 5 ოფიცერი და 38 ჯარის კაცი (მათ შორის ბატალიონის უფროსი). ოსმალები შეეცადნენ კილის რაიონში წინ წამოწევას, მაგრამ შევაჩერეთ, ჩვენმა ჯარმა შემდეგ შეუტია და დაიპყრო კილის სამხრეთით სოფ. ხოგოსი. მუშ ბითლისის, ვანურმიის და სენეს რაიონებში და აგრეთვე ქერმაშიას და ქამადანის შუა მკაცრი ბრძოლა კვლავ სწარმოებს. მუშ-ბითლისის რაიონში მოპირდაპირის მედგარი შემოტევის გამო ჩრდილოეთისაკენ დავიხიეთ.

**პეტროგრადი.** 27 ივლისი. ოფიციალური. მდ. კოროპეცის მარჯვენა ნაპირზე გადასულმა ჩვენმა ჯარმა დაახევინა მოპირდაპირეს და მთელი რიგი მაღლობებისა დაიპყრა. ველესნოვის დასავლეთით და სამხრეთისაკენ მდ. დნესტრის ხიდამდე ნიჟნიოვ-მონასტირჟესკოს რკინის გზაზე: დახევის დროს მოპირდაპირემ ორჯელ კონტრ-იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ, მერმე შევუტიეთ და წავართვით ტყვე 5 ოფიცერი, 414 ჯარის კაცი, ერთი ზარბაზანი და ტყვიისმტყორცნელები. ქ. ტისმენიცას რაიონში ჩვენმა მოწინავე რაზმებმა ოდნავ წინ წაიწიეს სტანისლავისაკენ.

### დასავლეთის ასპარეზი

**პარიზი.** 27 ივლისი. ოფიციალური ცნობა საღამოთი. სომას ჩრდილოეთით გავაფართოვეთ ოდნავ დაპყრობილი ტერიტორია. ორი დღის განმავლობაში დავიპყარით გერმანელების თხრილები 6 კილომეტრის სიგრძისა. მაასის მარჯვენა ნაპირით გამძაგებული ბრძოლა სწარმოებს ტიომონ-ფლერის მთელ ბრძოლის პირით, ჩვენი ჯარი მედგრად იგერებდა მოიერიშე გერმანელებს, შემდეგ ფრანგებმა თავის მხრით იერიში მიიტანეს და განდევნეს გერმანელები მათ მიერ გუშინ გუშინ დაპყრობილ ადგილებიდან. ვოშაპიტრ შენუას რაიონში თხრილი წავართვით.

**ლონდონი.** 27 ივლისი. ოფიციალური. გილიემონის სამხრეთ-დასავლეთით წინ წავ წიეთ ხაზი 400 იარდით. ბრძოლა კვლავ სწარმოებს, გილიემონის სადგურის მახლობლად გერმანელებმა ოთხჯერ იერიში მოიტანეს სამი უნაყოფოდ და მეოთხემ საშუალება მისცა დაეპყრათ ჩვენი თხრილი 50 იარდის სიგრძისა.

**პარიზი,** 27 ივლისი. ოფიციალური ცნობა დღისით. სომას ჩრდილოეთით გერმანელებმა კონტრიერიში მოიტანეს, მოვიგერიეთ, მხოლოდ ერთი თხრილი დაიპყრეს, მაგრამ ესეც შემდეგში დავიბრუნეთ. მაასის მარჯვენა ნაპირით ბრძოლაა ტიომონის გარშემო. მთელი რიგი უნაყოფო იერიშების შემდეგ გერმანელებმა დაიპყრეს ტიომონის სიმაგრე. სოფ. ფლერიში ფრანგებმა ოდნავ წინ წაიწიეს. ვო შაპიტრის რაიონში კონტრიერიში მოვიგერიეთ.

### ცეპელინების იერიში.

**ლონდონი,** 27 ივლისი. ოფიციალური. დღეს დილით ადრე მოპირდაპირის ცეპელინები გამოჩნდნენ ინგლისის აღმოსავლეთის და შოტლანდიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებით. შორს არ შემოსეულან და ყუმბარები ნაპირზე დაუშინეს. მოკლულია სამი ქალი და ერთი ბავში; დაჭრილია 14 კაცი. სროლით განვდევნეთ ცეპელინები.

# ომის დღიური.

— —

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** სვინიუხის აღმოსავლეთით რუსებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე თხრილი ხელთ იგდეს. მდ. კოროპეცზე რუსებმა ავსტრიელებს უკან დაახევინეს. მდ. დნესტრის სამხრეთით გენ. ლეჩიცკის ჯარმა რამდენიმე სოფელი იგდო ხელთ. აქ რუსებმა დაიპყრეს ქალაქი ტისმენიცა. რუსებმა მრავალი ჯარის-კაცი და აფიცრები დაატყვევეს და დიდი დავლა წამოიღეს. რუსის ჯარმა მდ. კოროპეცი გადალახა, ავსტრიელებს რამდენიმე სიმაღლე წაართვა. ნიჟნიუ-მონასტერ-ჟისკის რკინის გზის სამხრეთ-დასავლეთით რუსებმა გამაგრებული ხიდის საფარი აიღეს დნესტრზე. აქ ავსტრიელთა ყველა კონტრ იერიში რუსებმა მოიგერიეს.

**კავკასიის ასპარეზი.** გიუმიშხანეს დასავლეთით რუსებმა ერთი სიმაღლე აიღეს. ყიგის გზით ოსმალები წინ წამოვიდნენ, მაგრამ რუსებმა იერიშებით შეაჩერეს, თვითვე შეუტიეს და სოფ. ხოგორი დაიპყრეს. როგორც მუშ-ბითლისის მიდამოებში ისე ვან-ურმიის ხაზზე მკაცრი ბრძოლები კვლავ გრძელდება. ოსმალები წინ მიიწევენ და რუსები უკან დასწიეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** მდ. სომმის ჩრდილოეთით ფრანგებმა პატარა გამარჯვება ნახეს და 300—500 ადლით წინ წაიწიეს. შამპანში გერმანელები კვლავ ენერგიულად მოქმედებენ. მაასის მარჯვენა ნაპირზე მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ტიომონის ხაზზე ორივე მხარე გააფთრებულ იერიშებს აწარმოებს. ტიომონი კვლავ გერმანელებს დარჩათ; სოფ. ფლერში ფრანგებმა ხელის ყუმბარებით იერიში მიიტანეს და ოდნავ წინ წაიწიეს. ვო-შაპოტრის ტყეში ფრანგებმა გერმანელთა იერიში მოიგერიეს. ინგლისელ ჯარის ბრძოლის ხაზზე გერმანელებს იერიში მოაქვთ.

**იტალიის ასპარეზი.** ასპარეზის უმეტეს ნაწილში საარტილერიო ბრძოლაა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

უკანასკნელ დროს გერმანულ წყალქვეშები კვლავ ამოქმედნენ. ერთს შვედურ გემს არ უშვებენ გაუჩხრეკავს.

— —

ჩრდილოეთის ზღვა ისე ყოფილა დაფენილი ნაღმებით, რომ ათასში ერთი გემი თუ გაბედავს ხოლმე ამ ზღვით გასვლას.

— —

„ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ მიერ სტამბოლიდან მიღებულ ცნობით, გერმანელების საქმე რუმინეთში გამოსწორებულა და ეხლა ამ მხრით მათ საშიში არა მოელით რა.

— —

ერთი გერმანული გაზეთი სწერს, მოკავშირეებს კიდევ შესწევთ ძალი და ღონე ომის საწარმოებლად მათ მრავალი ჯარი ყავთ, დიდი ძალი ტყვია წამალი აქვთ და შინაური მდგომარეობაც მათი მტკიცეაო.

— —

ბოლო დროს გასაკვირვალის სისასტიკით ლუპავენ გერმანული წყალქვეშა ნავები შვეციის საფოსტო გემებს დღე ისე არ გავა, რომ ერთი ან ორი საფოსტო გემი არ ჩალუპონ მათ.

— —

პოლონურ „სახალხო გაზეთს“ დეპეშა მიუღია გერმანიიდან, რომ პოლონეთის ბედი ამ მოკლე ხანში გადაწყდება და გამოაშკარავდება მისი მომავალიო.

ავსტრიის გაზეთები მუქარის წერილებს წერენ რუმინეთის მიმართ.

— —

მინის ფრანკფურტში, გერმანიაში სხვადა სხვა სამოქალაქო დაწესებულებების უფროს-გამგეებათ ქალები აურჩევიათ.

— —

გენერალისიმუს ჟოფრს ამერიკულ გაზეთის კორესპონდენტისთვის განუცხადებია: გერმანიის ბედის ჩარხი ჩვენ შევაჩერეთ და იმედი მაქვს ახლო მომავალში უკუღმაც დავატრიალებთო.

— —

ფრანგული გაზეთებს კმაყოფილება გამოუთქვამთ იტალიის ჯარის გამო.

— —

კოპენჰაგენის ცნობებით ავსტრიის ჯარი ამ ჟამად ორად არის გაყოფილი თურმე. ჩრდილოეთ ნაწილს სარდლობს ჰინდენბურგი ხოლო სამხრეთისას-ავსტრიის ტახტის მემკვიდრე.

— —

გერმანელი მოხელეები ვარშავაში ხმას ავრცელებენ, ახლო მომავალში პოლონეთის ასპარეზზე დიდი ამბებია მოსალოდნელიო.

— —

მდ. დუნაიზე რუმინეთსა და ბულგარეთის შორის არის ერთი კუნძული, მოკანუ, რომელიც პირველს ეკუთვნის. ახლო ხან ბულგარელი ჯარის კაცები ნავებით მიახლოვებიან კუნძულს რუმინელებს სროლა აუტეხიათ ბუგარელებს სროლითვე უპასუხიათ და შემდეგ მიმალულან

— —

ეგეის არქიპელაგზე გერმანელთა ჰაეროპლანები დაფრინავდნენ და კუნძ. მუდრასზე ყუმბარები ჩამოყარეს.

— —

მონგოლიაში ამ ჟამად დიდი აჯანყებაა ქალ. ტაო—ნან—ფუსთან მთავრობის ჯარს ბრძოლა მოუხდა აჯანყებულებთან. ქალაქს ალყა შემოარტყეს და დასჭრეს გენ. ბუჩუნგ—ჰენგი.

— —

„პოლიტიკენი“ სწერს: გერმანელებს არ შეუძლიათ უმოქმედოთ დიდიხანს იყვნენ და ახლო მომავალში კვლავ შეტევას დაიწყებენ, რომელიმე ასპარეზზედაც.

— —

გიუნოხის მცხოვრებლებს გუბერნატორის თაოსნობით მოუხსენებიათ ბავარიის მეფისათვის, რომ საიმპერიო კანცლერის მიერ შექმნილი რეჟიმი პირდაპირ აუტანელია ბავარიისათვისაო. ამაზე მეფეს უპასუხნია, მოთმინება იქონიეთ, ვინაიდგან ეხლა საჭიროა არა შური და მტრობა, არამედ ერთსულოვნებაო.

— —

ავსტრიის გემებს შეუწყვეტიათ მიმოსვლა ქვედა დუნაით და ავსტრიის ნავთსადგურებში დაბრუნებულან.

— —

ინგლისურ გაზეთის ცნობით კარპატებზე ერთ ალაგას ყაზახებს მთავარი ქედი გადაულახავთ და 50 კილომეტრით უნგრეთის ველზე გასულან.

— —

ბუკოვინიასა და რუმინიის საზღვარზე რუსებს დამოკნა გაუხსნიათ.

— —

აჯანყებული მონგოლები მოსდგომიან ქალ. ჩონჩულუს, მაგრამ იაპონელებს მოუგერებიათ.

— —

იმპერატორი ვილჰელმი ანექსიანისტების მომხრე ყოფილა და ეხლა ხან ანექსიანისტების ბელადას პროფ. ჰარნავს საკუთარი ხელით დეპეშა გაუგზავნაა ნექსიანისტურ სიტყვის წარმოთქმის გამო.

## ზნეობა ცხოვრებასა და ხელოვნებაში.

ადამიანის ზნეობრივი მხარე, როგორც გონებრივი და სხეულებრივი, განვითარებას განიცდის.

პირველყოფილი ადამიანები, ველურები, ერთმანეთსა სჭამდენ. ძალადობა, წართმევა მათ შორის არა თუ ცოდვად, არამედ გმირობად ითვლებოდა და სქესობრივი შერევა და გარყვნილობა უკიდურესი იყო.

როდესაც ადამიანმა მიწისმუშაობა და შინაური პირუტყვის მოშენება ისწავლა, კაცის მჭამელობაც გადავარდა და ტყვეებს მონებად ხდიდენ. ამიტომ, ძველს განათლებულ ქვეყნებს მონობა ახასიათებდა.

ძველი საბერძნეთისა და რომის განათლების დასასრულს მონობის წინააღმდეგ ძლიერი მოძრაობა დაიბადა. ამ დროს, ერთი მხრით, მონობა ეკონომიურ აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა. მეორე მხრით, მისი გაძლიერება მოქალაქეთათვის საშიშარი შეიქნა და, მესამე, თვით საზოგადოების ზნეობა გაფაქიზდა, განვითარდა, ე. ი. თვითეული ადამიანი უფრო განკაცდა და განკეთილშობილდა.

ქრისტიანობამ ხომ ეს მიმართულება კიდევ უფრო განამტკიცა.

ბარბაროსთა შემოსევამ ძველი განათლება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ნანგრევებს ქვეშ მოაქცია, მაგრამ უკვე მეთერთმეტე საუკუნეში დაიწყო განახლება ჯერ იტალიაში, შემდეგ კი დანარჩენ ევროპაში.

ძველი ფილოსოფია მკვდრეთით აღსდგა... ამას კი თან მოჰყვა რომის პაპის უცოდველობისა და უცდომელობის უარყოფა, რეფორმაცია და სინიდისისა და სამეცნიერო ძიების სამღვდელოების საშინლის, სასტიკი ზედამხედველობისაგან განთავისუფლება.

ამას მოჰყვა შედეგად უდიდესი მეცნიერული აღმოჩენანი მეჩვიდმეტე საუკუნეში და პიროვნების განმათავისუფლებელი მოძრაობა მეთვრამეტეში.

საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან კი ახალი მიმართულება დაიწყო, რომლის სრბა ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

და თანამედროვე ზნეობრივი იდეალი— ამ ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია.

რას წარმოადგენს ეს იდეალი? ზნეობრივია—ყოველი გრძნობა და მოქმედება, რომელიც ინდივიდთა, კერძო პირთა, შენაწევრებას თანშეეწევა. მაშასადამე, ზნეობრივი—საზოგადოებისთვის სასარგებლოა. ამიტომ ფორმულას: „არ ისურვო სხვისთვის, რაც შენთვის არა გსურს“, —უნდა მიემატოს კიდევ შემდეგი იმპერატივის, ანუ მოვალეობის, ფორმულა: „ისურვე და ქენი ის, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლოა“.

აქედან ცხადია, რომ ზნეობრივი გრძნობა და მოქმედება მიზანრაბამია და იმავე დროს საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი პირობაა.

მე ვმუსაიფობ თანამოსაუბრეებთან. საჭიროა, მათს აზრს პატივისცემით მოვეკიდო: წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი., თუ მოსაუბრეს შევურაცხვყოფ, ჩემი საქციელი საზოგადოებრიობის უარმყოფელია და, მაშასადამე, უზნეოა.

პატივი უნდა ვსცე კერძო საკუთრებას. თუ კი, პირიქით, ვიპარავ და ვიტაცებ, ჩემი მოქმედება აგრეთვე ანტისოციალური და უზნეოა.

საზოგადოება შეუძლებელი იქნებოდა, ერთანეთი რომ გვეტყუებია და სხ. ამიტომ, მოტყუება, პირის გატეხა, ღალატი—ყოველთვის უზნეობად ითვლებოდა.

პირიქით, მოძმისთვისა და საზოგადოებისთვის თავდადება და თავის განწირვა —უმაღლესი ზნეობაა, გმირობაა, რომელსაც ხალხი ყოველთვის სიმღერებში აქებდა და ადიდებდა.

გადამეტებული სქესობრივი მგრძნობიერობა, გარყვნილება, ასუსტებს და აუძლურებს, როგორც სხეულს, აგრეთვე სულიერ ენერგიას. ამიტომ. იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც კაცი სქესობრივი გრძნობიერობით მარტო თავის თავსა რყვნის (ავტოსექსუალისტი), მისი საქციელი უზნეოდ უნდა ჩაითვალოს. და, თუ ის სხვასაც რყვნის, მაშინ ხომ მისი მოქმედება ასკეცად უზნეოა.

მაშასადამე, სქესობრივ სფეროში ზნეობა აი რას თხოულობს: ნუ გაირყვნები და ნუ გარყვნი სხვას.

შეიძლება გვითხრან: ზნეობა პირობითია და, წინეთ რომ ზნეობრივად ითვლებოდა, ახლა უზნეობაა და, მაშასადამე, არა არის-რა ისეთი, რომ საყოველთაო, საერთო საწყაოდ და კრიტერიუმად გამოდგებოდესო. მაგრამ ეს ნაცილი, ცრუ შეხედულობაა. ზნეობრივი მიმართულება ყოველთვის ერთგვარი და მისი საწყისი, საფუძველი, ყველა ხანაში აგრეთვე ერთიდაიგვე ყოფილა, თუმცა ზნეობის ზოგიერთი მხარე სხვადასხვა ისტორიული პირობის გამო მეტნაკლებად იჩაგრებოდა და იჩრდილებოდა. მაგალითად, სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირველ ხანაში პიროვნების თავისუფლება და კერძო ინიციატივა მეტად შევიწროებული იყო, განვითარებულის სამოქალაქო ცხოვრების ხანაში კი გარყვნილებისა და ფუფუნების შეკავება შეუძლებელი შეიქნებოდა ხოლმე. მაგრამ ყოველთვის, ერთი მხრით, პიროვნების თავისუფლებასა და ინიციატივას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია და, მეორე მხრით, საზოგადოების უკეთესი ნაწილი გარყვნილების წინააღმდეგ აღშფოთებასა და პროტესტს აცხადებდა.

გადაგვარებული ხელოვნების აღმსარებელნი, უეჭველია, გვეტყვიან: ზნეობა მხოლოდ ცხოვრებაშია გამოსადეგი, ხელოვნება კი ცხოვრების გარეშეაო. ვნახოთ, რამდენად მართალია ეს აზრი.

განვიხილოთ ხუროთმოძღვრება. რატომ მოგვწონს, მაგალითად, დიდი, მაღალი, მრავალკამარიანი და მტკიცე საფუძვლკედლებიანი საეკლესიო შენობა? უპირველესად მიტომ, რომ ის ხალხის შესაკრებელი ადგილია, მაშასადამე, შემკრებელობითი, შემნაწევრებლობითი, ზნეობრივი დანიშნულება აქვს; მისი დიდი გარეშეცულობა მოასწავებს ჰაერის კმარებას შეკრებილი ხალხისათვის; საფუძვლისა და კედლების სიმტკიცე და ნაწილთა კეთილშესაბამობა, ანუ ჰარმონია, სვეტები ღ სხ.—შენობის სიმტკიცეს, სიმაგრესა და შინაგანი მორთულობა, სურათები და რელიეფები, კამარები, ჩუქურთმები და სხ. თავისი თანამიდევნებითი, თანდათანობითი, გარდამავალი მოხაზულობით თვალს ხედვას უადვილებენ და ასვენებენ.

მაშასადამე, რით გვხიბლავს ლამაზი საეკლესიო შენობა? მით, რომ ის ემსახურება, როგორც საზოგადოებისა, აგრეთვე კერძო პირის მიზანს, ე ი. მას შემნაწევრებელი, შემკრებელობითი მნიშვნელობა აქვს.

იგივე ითქმება სათეატროსი და ყველა სხვა საკრებულო შენობის შეხახებაც.

ამგვარად, არქიტექტიურას ზნეობრივი, სოციალური ელემენტი უდევს საფუძვლად და მიზანრაბამობის კანონს ემორჩილება

განვიხილოთ ხელოვნების მეორე დარგი—მუსიკა. სად არის მისი ზეამტაცის, მომჯადოებელის, დამატკბობელი ზემოქმედების საიდუმლოება? ჯერ ერთი, თვითეული მხმობარეობა მით არის ჩვენთვის ყურადსაღები და მოსასმენად აუცილებელი, რომ რომელსამე ბუნებრივ მოვლენას გვიჩენებს, ნათელს ფენს, საცნაურ ჰყოფს. და, მეორე, კაცის ხმას განსაკუთრებული სოციალური, შემნაწევრებელი მნიშვნელობა აქვს: კაცი კაცს თავის აზრსა და გრძნობას ხმით, ე. ი. სიტყვით და სიმღერით, განუზიარებს. მაშასადამე, ხმა—გრძნობათა და აზრთა გამომხატველი საშუალებაა.

უმთავრესად ამიტომ არის სასიამოვნო კაცის ხმის გაგონება!

ერთი სიტყვით, სიამოვნებას ყველგან და ყველაფერში სარგებლობა უდევს სარჩულად.

მეორე მხრით, მიზანშეუფერებელი ხმაურობა, რომელიც არც გულს არგია და არც გონებას,—არასასიამოვნოა..

მაშასადამე, მუსიკა უნდა გამოხატავდეს ადამიანის სიხარულსა და დარდს, გულისთქმასა და აზრს, ერთი სიტყვით, სოციალურის, საზოგადოებრივის, ზნეობრივი ცხოვრების მიზანრაბამობასა და შინაარსს. მხოლოდ ასეთს მუსიკაშია პოეზია და შემოქმედება.

მაგრამ რა შობს მუსიკის მომხიბლველ

**ქ. ქუთაისი, 30 ივლისი.**

„თბილისის გუბერნატორმა ნება დართო გამოსცენ ქართულ ენაზე სომხური გაზეთი „სომეხთა ცხოვრება“.

გაზეთების ცნობა.

დიდი ხანია დადიოდა ხმა ამ გაზეთის გამოცემის შესახებ და ახლა, როგორცა სჩანს, სიტყვა საქმედ ქცეულა. ვინაიდგან გაზეთის გამომცემლები არ დააყოვნებენ მის ბეჭდვასაც!

თუ დაგვიჯერებენ ჩვენი მეზობლები და აგრეთვე ყველა ჯურის ქართველი „სოციალისტები“, გულ-წრფელად მოვახსენებთ, რომ ჩვენ არა გვშურს სომხის ერის გაძლიერება და გაღონიერება რომელი მხრითაც უნდა იყოს: გონებრივად, ზნეობრივად, პოლიტიკურათა, თუ ეკონომიურად, მაგრამ გული გვტკივა ხოლმე, როცა საქართველოში, ქართველი გრიგორიანებით დასახელებულ მიწა-ადგილზე სომხის მოღვაწეები ცდილობენ აწარმოვონ თავისი პოლიტიკა და გაასომხონ ისინი, რომელთაც სომხისა არა სცხიათ რა: არც სახით (ტიპით), არც ზნით, არც ჩვეულებით, არც ხასიათით, არც ენით, არც ისტორიული ტრადიციით, გარდა ბედ-უკუღმართ სარწმუნოებისა, რომელი სარწმუნოებაც, კარგად ვიცით, რა გზითაც და რა საშუალებითაც ვრცელდებოდა საქართველოში.

მართალია სომხის გაზეთები (რუსულსა და სომხურ ენაზე რომ იბეჭდებიან საქართველოშივე) მთელის თავისი აღშფოთებით გაიძახიან, რომ „არ არიან ქართველი გრიგორიანები, საქართველოში ყველა გრიგორიანი ტომით სომეხია და მაშასადამე, ქართველების სიტყვა ზღაპრად უნდა ჩაითვალოს“-ო, მაგრამ ეს ყვირილია მხოლოდ დაბრმავებული სომხის შოვინისტებისა, ეს გულისთქმაა მხოლოდ გადიდგულებულ სომხის ბურჟუაზიისა და პლუტოკრატიისა.

ესენი კარგად ხედვენ, რომ ქართველები მეტად უზრუნველი ხალხი ვართ და ვიდრე ჩვენ კეფას მოვიფხანდეთ და შეუგნებელ ქართველ გრიგორიანებს შევასმენდეთ, რომ რჯული სხვაა და ეროვნება კიდევ სხვა, სომხის პატრიოტები თავის საქმეს უკვე დაასრულებენ და ქართველ გრიგორიანებით დასახლებულ ქართლ-კახეთის სოფლებს ისეთის შოვინიზმით გაუღენთავენ, რომ თვით ყარაბაღელ სომეხს დაამჯობინებენ!..

ამ იმედით, ამ აზრით აარსებენ კიდეც სომხურ გაზეთს ქართულ ენაზე.

მათ საკმაოდ არ მიაჩნიათ, ის გარემოება, რომ მთელი საქართველო ჩარჩების ხელშია, საკმარისად არ მიაჩნიათ რომ ქართლკახელი გლეხი ყურ მოჭრილი ყმაა რომელიმე კარაპეტასი, ან ავეტიკასი და მისი ვახშიდან ველარ ამოსულა, მათ სურთ რომ ქართველი გრიგორიანები მოსწყვიტონ თავის მშობელ დედას და ძმათა შორის ისეთი უფსკრული [illegible] იჩენება კეთილდღეობა [illegible] ლისა..

დიახ, გვწყინს, მაგრამ არ გვიკვირს სომხების ასეთი საქციელი! თავის მიწა-წყალიდან საუკუნოებით დევნილი სომხობა სხვის მიწა-წყალზე იკალათებს და ვანთან დამარხული სასომხეთი, თბილისთან უნდა აღადგინონ!—ეს ბუნებრივი წადილია ყველა უსახლ-კარო და ბაგონო ხალხისა!

მაგრამ განა ჩვენ კი გულ ხელ დაკრებილი უნდა ვისხდეთ და ჩვენ მიწა წყალში, ჩვენ ქვეყანაში, ჩვენს ძმებთა შორის თავზე ნაცარი წავიყაროთ? .

ეს ხომ ქათველი ერის დაღუპვა იქნება, ეს ხომ საქართველოს მოსპობას უდრის!.

ამიტომ ჩვენც ხელი უნდა გავანძრიოთ და კულტურულ საშუალებას კულტურული საშუალება უნდა მივაგებოთ...

ჩვენც უნდა დავაარსოთ სასოფლო, ნამდვილი სახალხო, ყოველ დღიური გაზეთი, ისეთი გაზეთი კი არა, როგორებიც არიან დღევანდელი ჩვენი ვაზეთები, —მყვირალანი, ვარსკვლათ—მრიცხველნი, მეოცნებენი, ერთმანეთის მჭამელნი, უქნარანი და უზრუნველნი!..

ჩვენ უნდა დავაარსოთ სავაჭრო-სამრეწველო—სამეურნეო გაზეთი ისტორიულ-ეტნოგრაფიულის განყოფილებით, გლეხურის ჰანგის, გლეხურის კილოსი, იაფასიანი, ან და უფასოდ დასარიგებული.

თუ გაზეთ „სომხთა ცხოვრება„ ქართველების გასომხებას მოახერხებს, ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრება, რომ ქართველ გლეხს ვერ შევაგნებინოთ თავისი ვინაობა, თავისი დანიშნულება, ვერ შევაყვაროთ მამაპაპის სისხლით მორწყული მამული და ვერ შევაგნებინოთ თავისი პირადი სარგებლობა?!

კეთილშობილურ იარაღს კეთილშობილური იარაღივე უნდა დავახვედროთ და კეთილშობილური აზრები, სიტყვა,საქმედ ვაქციოთ.

ღვთის წინაშე ერთი უპირატესობა კი აქვთ სომხებს ჩვენზე.

თითოეული სომეხი ბურჟუა იქნება იგი თუ „სოციალისტი“ მზადაა ყოველი წვლილი გაიღოს „სომხური საქმისათვის“ და რომელიმე მანთაშევს ისე გამოაღებინებენ ასი ათასებს, რომ ჩვენ თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებთ...

ქართველ „ბურჟუასა“, თუ „სოციალისტს“ კი—ერთმანეთის ჭამის მეტი არა ეხერხებათ რა და „ქართული საქმე“ შეუწირავთ „მსოფლიოს აყვავებისათვის“, —პირველს იმიტომ, რომ ჯერ თვალი და გული არ გასძღომია, ხოლო მეორეს იმი-

ტომ, რომ დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებით გაოგნებული „ოცნების სამეფოში“ გადაფრინდეს...

ასე გაგვლარა უკანასკნელი ასი წლის ცხოვრებამ?

დრო კია გონს მოვიდეთ და ჩვენ თავს მოვუაროთ, ვიდრე სულ მთლად არ გავნადგურებულვართ.

დრო არის ჩვენც შევქმნათ ისეთი ეროვნული თანხა, რომელიც მოხმარდება სოფლად სწავლა ცოდნისა და განათლების შეტანას!

ბრძოლა კულტურულ ნიადაგზე კეთილშობილური საქმეა და გამარჯვებულიც ის დარჩება, ვისაც მეტი ისტორიული საბუთი და მეტი მორალური ძალა აქვს სულისა...

ქართველებო, მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარშემო და ნუღარ იქნებით მცონარენი!!

# ოსმალეთში დაპყრობილ მიწების ბედი.

მეფის მოადგილის თანაშემწეს გენერალ იანუშკევიჩს შემდეგი ბრძანება გამოუცია:

— „რუსის ჯარისაგან დაპყრობილ ნაწილში ოსმალეთის ქვეშევრდომთაგან ზოგი გაჰყვა უკანდახეულ ოსმალეთის ჯარს, ზოგი შეიხიზნა მიუწდომელ ხეობებში და ზოგიც რუსეთის საზღვრებში გადმოიხვეწა.

კავკასიის ჯარის მთავარსარდალმა გაიგო, რომ უპატრონოდ მიტოვებულ მიწების მისაკუთრებას ცდილობენ როგორც ადგილობრივად დარჩენილნი მცხოვრებნი ისე გადმოხვეწილები, რომელნიც ან ნებადაურთველად ან და ნებართვით გაჩნდნენ დაპყრობილ ადგილებში და იმედიც აქვთ, რომ უპატრონო მიწებს დაჩემებით ძალით შეინარჩუნებენ მას.

მეფის მოადგილემ მიიღო რა მხედველობაში, რომ რუსის მთავრობა საკმაოდ ზრუნავს დაპყრობილ ოსმალეთში დარჩენილ მცხოვრებზე და ყოველწლიურად რამოდენიმე ათეულ მილიონს ჰხარჯავს მათზე,—ყოვლად შეუწყნარებლად სცნო უპატრონოდ დატოვებულ მიწების მისაკუთრება და ბრძანა: გამოეცხადოს, მცხოვრებთ, რომ უახლოეს მომავალში დაპყრობილ ადგილებში დაინიშნება სამოქალაქო გამგეობა, და მაშინვე ყველას ვინც უკანონოდ დასახლებულან სხვის მიწებზე ადგილიდან აჰყრიან; აჰყრიან აგრეთვე იმათაც ვისაც ეს ადგილები შეუძენია ნასყიდობით ან სხვა რაიმე საშუალებით..

უპატრონო მიწები ამიერიდან მეცემა მხოლოდ მკვიდრ მცხოვრებთ, ისიც მთავრობის ნებართვით და მხოლოდ იჯარით“.

იმედია, გენერალ იანუშკევიჩის ბრძანება მაინც ბოლოს მოუღებს იმ უკანონობას, რომელსაც სჩადიან დაპყრობილ ოსმალეთში და კერძოდ ლაზისტანში დაბრუნებული სომხები: მათ მოინდომეს, მითვისება როგორც უპატრონო მიწებისა და სახლკარისა ისე ყოველივე მოძრავ ქონებისა, და იმედიც ჰქონდათ, რომ მითვისებული ისევე შერჩებოდათ, როგორც შერჩათ წარსულ რუს-ოსმალოს ომის დროს ყარსის და ბათომის ოლქებში ნადავლი, დასძენს გაზეთი „საქართველო“.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ დაბა ყვირილაში საზოგადო კლუბის სცენასა და საუდიტორიო დარბაზს აფართოვებენ, რის გამოც ამ ზაფხულზე წარმოდგენების მართვა შეწყვეტილია

✦ ვანაიდან ქუთაისში შაქარი მხოლოდ ორ-სამ მედუქნესთან იშოვება, სავაჭროებს აუარებელი ხალხი აწყდება.

✦ ქუთაისის საზოგადოება „კოოპერაციას“ უკვე მოუვიდა ნახევარ ვაგონი ფხნილი შაქარი და გირვანქას ჰყიდის 17 კაპეიკად.

✦ გუშინ, სათავად-აზნაურო-ბანკის დარბაზში მოხდა კრება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის წევრთა.

გამგეობამ აჭარაში იჯარით აღებულ მამულების მოურავად დანიშნა ბ-ნი კონსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილი რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება აჭარაში.

✦ ეს რამდენიმე დღეა, რაც ქუთაისში გრილი დარები დაიჭირა, ცოტათი ჟონავს კიდეც.

✦ 2 აგვისტოს ქუთაისის ოლქის მასამართლო განიხილავს ივანე იმნაიშვილის საქმეს, რომელსაც კაცის კვლა ბრალდება.

✦ სასურსათო საქმის გამგე კომიტეტს ბრძანება გაუცია რკინიგზის მთავარ სამმართველოსთვის, რათა მან და უყოვნებლივ გამოჰყოს 260 ვაგონი თბილისის და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთათვის შაქრის მისაწვდენათ. შაქარი მოზიდული უნდა იყოს 15 აგვისტომდე.

✦ **სოფელ წევაში** (შორაპ. მაზრ.) ადგილობრივ ინტელიგენციას განუზრახავს ამ მოკლე ხანში გამართოს წარმოდგენა ამავე სოფლის სამკითხველოს სასარგებლოდ.

✦ **წარჩინება**. ავსტრიის საზღვარზე დაჭრილი „პრაპორჩიკი“ დ. მიქაბერიძეს რომელიც ამ ჟამად ქუთაისის სამხედრო გოსპიტალში იმყოფება „პოდპორუჩიკობა“ ებოძა.

**ბორჯომი**. ბორჯომს, წაღვერსა და სხვა ადგილობრივ აგარაკებს კვლავ ბევრი აწყდება ხალხი. მაგრამ ბინის უზოვრობის გამო ისევ უკან ბრუნდებიან.

✦ სოფელ ამაშუკეთში (შორაპ. მაზ.) ახლად დაარსებულ კოოპერატიულ ამხანაგობას სადგურ ძირულით ამ დღეებში უკვე მოუვიდა ერთი ვაგონი სიმინდი.

### თბილისი.

— სომხური გაზეთი ქართულ ენაზე. თბილისის გუბერნატორმა ნება დართო გამოიცეს თბილისში ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ქართულ ენაზე ამ სათაურით: „სომეხთა ცხოვრება“.

— აჭარის სკოლები. თბილისში ჩამოვიდა მეთვალყურე ქართულ საქვ. საზოგადოების აჭარაში არსებულ სკოლებისა იერ. დიმ. გულისაშვილი და მოხსენება წარუდგენა მთავარ გამგეობას იქაურ სკოლებზე. თანახმად მოხსენებისა ხუცუბნის სკოლებთან, კინტრიშის ხეობაში, საჭიროა მომავალ სამოსწავლო წლიდან დაარსდეს სასოფლო სამეურნეო განყოფილება. გარდა ამისა საჭიროა კვლავ თანხის გაღება სოფლებ ყოროლისთავის, ალამბრის და ხუცუბნის სკოლების ახალ შენობების მოსათავებლად. ბ. გულისაშვილმავე განაცხადა, რომ ალამბრის სკოლის მასწავლებელს ბ. ნიკოლაიშვილს და ქვემო-აგარის სკოლის მასწავლებელს გეგელიას ჯარში გაწვევა უწევთ და სთხოვა ვადა განუგრძონ.

— მამულის ჩაბარება. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრები ამ დღეებში გაემგზავრებიან საგურამოს, საცა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას უნდა ჩააბარონ საიჯაროდ ილიასეული მამული.

— წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობას ჯერ არ მიუღია წარსულ წლის ანგარიში: ქუთაისისა, ვანისა, გუდაუთისა ხონისა, სოჩისა და დუშეთის განყოფილებისაგან. მთავარი გამგეობა უკვე შეუდგა 1915 წლის ანგარიშის დაბეჭდვას, ასე რომ აღნიშნულ განყოფილებათა ანგარიშები გამოტოვებული იქნება.

— ახალი წიგნი. „საქართველო“-ს რედაქციამ მიიღო ბ-ნ ვ. დ. წიგნაკი: „Итоги краеавго земскаго совѣшанія на Кавказѣ. რომელშიაც დასაბუთებულია საერობო თათბირის უმრავლესობის მოქმედება. წიგნი შეიცავს 47 გვერდს და ღირს 50 კაპ.

— ტატიანის კომიტეტის შემოწირული ფული. 26 მკათათვეს წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ითათბირა ტატიანას კომეტეტის მიერ შემოწირული ფულების მოხმარების შესახებ და დადგინა, დაარსოს განსაკუთრებული ფონდი ტატიანას სახელობაზე. შემოწირულ ფულის ერთი ნაწილი ჯერ-ჯერობით მოხმარდება ომისგან დაზარალებულთა მცირე წლოვან შვილთათვის თავშესაფარის დარსებას ბათომსა, სოხუმსა და ბაქოში. თავშესაფარებში წერა-კითხვასაც ასწავლიან. ამასთანავე გამგეობამ დაადგინა გაგზავნოს ბათომს და სოხუმში სასკოლო სექციის თავჯდომარე ბ-ნ ლ. ბოცვაძე, რომელიც საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებთან ერთად გამოარკვევს, როგორ და როდის მოეწყოს თავშესაფარები და რამდენი ფული იქნება ამისთვის საჭირო. ამავე მიზნით გამგეობა ჰგზავნის ბაქოში საზოგადოების სკოლების მეთვალყურეს ბ ნ გრ. ბურჭულაძეს.

# დაპყრობილ ოსმალეთში

### 1.

სრულიად მოულოდნელმა, მიმდინარე პირობებით გამოწვეულმა შემთხვევამ მაიძულა გავმგზავრებულვიყავ სარიყამიშისაკენ. თუმცა თავიდანვე წარმოდგენილი მქონდა მოგზაურობის სიმძიმე, მაგრამ ჩემთვის უცნობი მხარის ნახვის სურვილი ფრთას მასხმდა. ომის ასპარეზი, ყოფილი ბრძოლის ადგილები, სუსტი ადამიანის ძალით აგებული, რამდენიმე ათეული წლების წვა-დაგვით შენაძენი; იმავე ადამიანის მიერვე მტვრად ქცეული, დარბეული მოსახლეობა, აწიოკებული ხალხი და მრავალი სხვა სანახავები თვალწინ მედგა.

რამოდენიმე დღის აუტანელ ლოდინის შემდეგ გუმბრიდან 12 ივლისს გავედი. ყარსს, რომ რამდენიმე ვერსით დაუახლოვდებით, მაშინათვე იგრძნობთ პოზიციების სიახლოვეს. ყარსიდან სარიყამიშამდის ხომ ყველაფერს ომის სუნი უდის. აქედან მხოლოდ სამხედრო პირებს და განსაკუთრებულ ნებართვით სამსახურის მაძიებლებს ეძლევათ სარიყამიშში ჩასვლის ნება. მოწყალების დების მეტს, ქალებს სრულებით არ უშვებენ. თვითონ სარიყამიში პატარა ქალაქია, მაგრამ შიგ ისეთი არა ჩვეულებრივი მოძრაობაა, რომ მიახლოვებას მატარებლის ვაგონიდან გადმოუხედავადაც იგრძნობთ.

თუმც შეღამებული იყო, როცა შევედი სარაყამიშში, მაგრამ იქაურმა გაცხოველებულმა მოძრაობამ მაინც გამოაცა თითქმის მთელი ღამის განმავლობაშიც შეუწყვეტლად მუშაობენ თვითმავლები (ავტომობილები) და ფურგუნები. ასე გეგონებათ, მრავალი ასი ათასოვან მცხოვრებ ქალაქთან გვაქვს საქმეო. მართლაც, მთელი ამ ასპარეზის მხედრობა ამ ქალაქიდან ღებულობს სურსათს და გასაკვირველიც არ არის, თუ ამ პატარა დაბა ქალაქში ასეთი მოძრაობაა თითქოს წარსულ ამბებს დაუსნეულებიათო, ქალაქში რაღაც არა ჩვეულებრივი სუნი სდგას, თითქოს ჰაერიც არა ჩვეულებრივად მოძრაობდეს.

პირველი ღამე უძილოდ, ათასგვარ ფიქრებში გავატარე. არ მასვენებდა ის ფიქრი, თუ რას იტყოდენ ომის მომხრეები, რომ ამ ნაძალადევ სიცხოველეს პირისპირ დაუყენონ?

სარაყამიშს ირგვლივ მთები აკრავს ისიინი სულ მთლად მოფენილი იყო სამხედრო ქარავნებით სარაყამიშიდან ყარაურგნამდის მხოლოდ ახლახან გაიყვანეს სწრაფად ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა. რკინის გზით შეუძლებელია სურსათის მოთხოვნილების თუნდაც მესამედი ნაწილის დაკმაყოფილება, ამ ორ ადგილს შორის გაყვანილია საკმაოდ დიდი ხელოვნური შარა-გზა, რომელზედაც შეუწყვეტლად, თითქმის ღამითაც ათასობით მოძრაობს ფურგუნები განსაკუთრებით თვით მავალების მოძრაობისაგან ისეთი კორიანტელი დგება მტვრისა ამ გზაზე რომ მტვრის ღრუბელი მზეს ჩრდილავს და მგზავრები ხომ ერთიანად გათეთრებულ გათხუპნული არიან მტვრით.

ერთად ერთი სიამე სარიყამიშ-ყარაურგან შუა მოგზაურთათვის არის სარაყამიშიდან 7 ვერსტით დაშორებული მადნეული წყალი, რომელიც უხვად გამოჩუხჩუხებს და რომელსაც „ნარზანს“ უძახიან. ის მეტად მდიდარი ქიმიური შემადგენლობისაა და ნამდვილ ნარზანს არაფრით ჩამოუვარდება. სხვაგან წყაროები არ არის ხშირი. მოძრაობისაგან უბედურ შემთხვევასაც აქვს ადგილი თითქმის ყოველდღე იჩეხება რომელიმე მუშა ფარილ-ღრეში თავისი ურმით, ასეთ გზაზე, კარგი საგძალი რომ იყოს, საუზმობა სადილობა ხშირად შეუძლებელიც ხდება... ავათმყოფობა ხშირია მუშებში.

მგზავრობისაგან დაქანცული ... და საქონელი ყარაურგანში ისვენებენ. თუ სარაყამიშიდან მოდიან, ან პირიქით მე ავტომობილით მივდიოდი და ყველაფერს გაფაციცებით თვალყურს ვადევნებდი. 13 ივლისს 1 საათზე უკვე ყარაურგანში ვიყავი.

არ. ჯანცუღაია.

# ჩვენც მოგვისმინეთ!

მესამე წელიწადი დაიწყო რაც მთელი მსოფლიო ცეცხლის ალშია გახვეული, ომის ღმერთი კვლავინდებურად მძვინვარებს და თავის ბრაზ-მორეული თვალებით დასცქერის უმანკო მსხვერპლებს...

ამ ომმა მთელი ქვეყანა განსაცდელში ჩააგდო, მთელი ახალგაზრდობა, ყოველი ჯან-ღონით სავსე ვაჟ კაცი დღეს ბრძოლის ველზე გაწვეული, დარაჯად უდგია სამშობლოს და სწირავს თავის სიცოცხლეს. მაგრამ აქ რას ვხედავთ? რა მდგომარეობაშია აქ ხალხი, რას განიცდის?...

ქვეყანა შავი ძაძით არის შემოსილი და ხალხი ზღაპრულ კრიზისს განცდის, მეტისმეტ აუტანელ მდგომარეობის მომსწრეა.

სხვა უბედურებასთან ერთად მოუსავლობამ კიდევ ერთი ორად გაამწვავა ხალხის ცხოვრება, ცეცხლზე წყალი დაუსხა და მით უმწეობაში ჩააგდო. მაგრამ ულმობელმა ბედმა ესეც არ გვაკმარა. ჩვენდა შესავიწროებლად აქ თავი იჩინა ზოგიერთთა ვაჭრის დიდმა მადამ. რასაკვირველია, სიძვირა ომის შედეგია, ვიცნობთ მსხვილ ვაჭრებს, მათს მოქმედებას, ვიცით აგრეთვე წვრილი ვაჭრებიც, რომლებიც მეორე და მესამე ხელიდან ყიდულობენ საქონელს, მაგრამ ყოველი მათგანი უნდა ვაჭრობდეს სინიდისის ქვეშ, უნდა აწვდიდეს საქონელს თავიანთ მუშტარს ხელმისაწდომ ფასებში (რასაკვირველია, ცოტაოდენი მოგებით უნდა გაყიდონ).

გაზეთ „სამშობლო“-ს №410 ში იყო დასტამბული ბ. ტ. ჯაფარიძის წერილი, რომელიც არსებითად ეხებოდა ეხლანდელ გამწვავებულ ურთიერთობას ვაჭართა და მუშტართა შორის. მას სხარტად ჰქონდა დასურათ-ხატებული ეს მომენტი, მაგრამ არ შეიძლება რომ მცირეოდენი შესწორება არ შევიტანო მის წერილში. *).

ძვირად მოვაჭრე ბ. ტ. ჯ ძეს სულ რამდენიმე ჰკაცი ჰგონია, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არის ასში ოთხმოცდა ხუთმეტი მაინც სარგებლობს გარემოებით და უზომო ფასებს ახდევინებს თავის მუშტრებს.

ბევრს მტკიცებას არ გამოვუდგებით მხოლოდ ორ მაგალითს მოვიყვან იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ჩვენი ვაჭრები. როგორც პატივ-ცემულ საზოგადოებას მოეხსენება, კოოპერატიულმა დაწესებულებამ სხვადასხვა მიზეზების გამო შაბიაბანი დროზედ ვერ მიიღო, ვაჭრებსაც ეს უნდოდათ; მოიტანეს შაბიაბანი და მამასისხლად ჰყიდდენ. საქმე ის არის, მოტანილ შაბიაბანს გარემოების და მიხედვით უმატებდენ ფასს. დილას თუ გირვანქა შაბ. რვა აბაზი ღირდა, შუადღისას ცხრა აბაზი და საღამოს—ორი მანეთი—თერთმეტი აბაზი ეს ჭეშმარიტებაა და რად უმატებდენ ფასს ყოველ საათს?!. როდესაც შვიდ-რვა აბაზად ჰყიდენ, ხომ მაშინაც მოგება რჩებოდათ, თავნიდან ხომ არც მაშინ ზარალობდენ?!.. ერთი ეს და მეორე კიდევ სიმინდი ავიღოთ რამდენადაც ხალხი გაჭირვებულია და შიმშილს განიცდის, იმდენად ვაჭარი სიმინდს ფასს უმატებს. როდესაც კოოპერატიული დაწესებულება ფუთ სიმინდს 1 მ. და ორ შაურად ჰყიდის, რატომ ვაჭარი თერთმეტ აბაზად აფასებს?!.. ხომ კოოპერატიული დაწესებულებაც ცოტაოდენი მოგებით

*) ზოგიერთ ვაჭრის სიგლახე რედაქციას არც დაუფარავს და არც შემდეგში დაჰფარავს.
რედ.

ჰარმონიას, ე. ი. კეთილშეწყობილ ხმებს? რატომ არის მუსიკა ზოგჯერ არა ჰარმონიული, არა კეთილშეწყობილი? ესეც ადვილი ასახსნელია. ჯერ ერთი, მუსიკა უნდა იყოს რითმიული, რადგან კაცის თვითეული მოქმედება რითმიულია. სიმღერის რითმი უნდა თანშეესაბამებოდეს, მაგალითად, სუნთქმის, ფშვინვის, რითმს, რომ სიმღერამ სუნთქმა არ დაამძიმოს. ამასთანავე სიმღერისა და საზოგადოდ მუსიკის რითმი უნდა თანემოწმებოდეს სიარულისა, ცეკვისა და ადამიანის სხვადასხვაგვარი სხეულებრივისა და სულიერი მოძრაობის რითმს.

უნდა აღვნიშნოთ აქ ერთგვარი ფარული რითმი. ყური განიყოფება: გარეგან სასმენელ ფოლოდ, შუა სასმენელ ფოლოდ და შინაგან ყურად. შინაგანი ყურის ხვეული მილები (ლაბირინტი), რომლებშიაც სასმენელი ნერვის დაბოლოებანი არიან, საყვრიმლის ქვემო ძვალშია ამოჭრილი. გარეგანი ყურის ფოლო წარმოადგენს ყურის აპკის გარეთ მყოფ ფოლოს, რომელიც გარეგან ჰაერს უერთდება. შუა ფოლო კი ყურის აპკსა და შინაგან ყურს შორის მდებარეობს და უერთდება გარესკნელს ერთგვარი მილით (ევსტახის მილით), რომელიც სასის გვერდის ნესტვით (ნახვრეტით) ბოლოვდება. შუა ყურის ფოლოს. რომელიც საყვრიმლის ქვემო ძვალშია, უწოდებენ აგრეთვე აპკის ფოლოს. ამ ფოლოს გარედან საზღვრავს ყურის აპკი, მცირეოდნად ჭიმადი, მერხევი ორღანო, სისქით მხოლოდ 0,1 0,15 მილლიმეტრისა, მაგრამ ძლიერ მაგარი. ამ აპკის გარეგანი ჰაერით შერხევა ამოძრავებს შუა ფოლოს ძვლებსა და შემდეგ შინაგანი ყურის ორღანოთა და იწვევს, მაშასადამე, სასმენელი ნერვის დაბოლოებათა აღგზნებას. როგორ გარდასცემს, მაშასადამე, აპკი ჰაერის რხევას შინაგან ყურს? პაწაწა ძვლების საშუალებით, რომელნიც შუა ყურში არიან. აი ეს ძვლები: 1) კვერი. მოღუნული ქინძისთავის მსგავსი, სიგრძით 9 მილლიმეტრისა, რომლის ტარი შეხორცებულია ყურის აპკთან და თავი შეკავშირებულია პატარა გრდემლთან. 2) გრდემლი სიგრძით მხოლოდ 7 მილიმეტრია; თავით შეკავშირებულია კვერის თავთან, ოავისი ტარის ბოლოთი კი ეგრეთწოდებულ აბჟანდასთან. 3) აბჟანდა მართლაცა ჰგავს ცხენის უნაგირის აბჟანდას. მისი სიმაღლე მხოლოდ ოთხი მილლიმეტრია, ამჟანდის პტყელი ძირი, რომელიც შინაგანი ყურის (ლაბირინტის) ნახვრეტს უკავშირდება, სიგრძით მხოლოდ 3 მილლიმეტრია. როდესაც ყურის აპკი შეირხევა, კვერი დროგამოშვებით შეარხევს გრდემლს, გრდემლი კი აბჟანდას, აბჟანდის პტყელი ძირი კი ლაბარინტის ნახვრეტის აპკს, რომელშიაც ეს ძირი ზის. ამგვარად შეირხევა თხეულობა, რომელიც ლაბირინტის მილებშია. ეს რხევა კი ლაბირინტში მყოფს სასმენელი ნერვის დაბოლოებათ აღაგზნებს.

იმავე დროს ხსენებულ პაწაწა ძვლებს შემდეგი მყესები (მუსკულები) აქვსთ: 1) მყესი, ყურის აპკის მომზიდველი: ამ მყესის შემაძარღვი საყვრიმლის ქვედა ძვლის გარეთ არის, შემდეგ ეს ვიწრო მყესი გადის საყვრიმლის ქვედა ძვლის ნახვრეტში (ქვეიდან ზევითქენ, შედის ყურის შუა ფოლოში და მისი მეორე შემაძარღვი უერთდება ყურის აპკს იქ, სადაც კვერის ტარია. ამ მყესის მოზიდვა კიდევ უფრო შეზნექავს ყურის აპკის ისედაც შეზნექილ შუაგულს (ჭიპს). 2) აბჟანდის მყესი. სიგრძით 6-7 მილლიმეტრი, რომელიც არის საყვრიმლის ქვედა ძვლის ერთგვარ მილში (ფალოპის მილში): მისი ძაფისებური შემაძარღვი გამოდის ამ მილის ნახვრეტიდან და უერთდება აბჟანდის თავს უკანიდან. ამ მყესის მოზიდვა აბჟანდის თავს უკანა სწევს: და, რადგან აბჟანდა თითქმის დაკიდებულია თავით ქვეით კენ, აბჟანდის თავის უკან გაწევა, რასაკვირველია, გამოიღებს აბჟანდის პტყელი პირის წინა ნაპირს ლაბირინტის ნახვრეტიდან.

ეს ორი პატარა მყესი განაგებენ და აწესრიგებენ ხსენებული პაწაწა ძვლების მოქმედებას, ე. ი. ზომიერჰყოფენ ან აძლიერებენ თვითეულის მოძრაობასა და ზემოქმედებას. უმათოდ ლაბირინტში ვერ იქნებოდა მოწესრიგებული რხევა და, მაშასადამე სასმენელი ნერვი ხმების გარჩევას ვერ შესძლებდა. მეორე მხრით, ხსენებული მყესების მუშაობაც, როგორც ყველა სხვა ორღანოსი, რითმიული, დროგამოშვებითია. საჭიროა, მაშახადამე, გარეგანი მხმობარეობა მათი მუშაობის რიგსა და რითმს ესაბამებოდეს. თვარა, როდესაც, მაგალითად, ხსენებული მყესები მუშაობენ (რითმიულად), თუ სხვაგვარმა მხმობარეობამ მათი მუშაობის რითმი, ანუ რიგი, დაარღვია, ისინი ახალ ხმებს უცებ ვერ მოემარჯვებიან, ვერ შეურიგდებიან და მალე დაიღლებიან, დაიქანცებიან. აქედან კი ეგრეთწოდებული დისსონანსი, ე. ი. არასიამოვნო ხმა, იშობება.

ვასილ წერეთელი.

(დასასრული ხვალ.)

ჰყიდის!! ყველა ეს უტყუარი ფაქტია.

განა უმჯობესი არ იქნება ივაჭრონ სინდისიერად, რომ დაამყარონ ერთმანეთში ძმობა და სიყვარული?

ამიტომ პატივცემულო მკითხველო, უნდა ვეცადოთ, რომ გავაძლიეროთ კოოპერატიული დაწესებულებანი, ყოველი საშუალება, ყოველი ღონის ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მას რიგიანი ნიადაგი მოვუმზადოთ და შეძლებისა გვარად განვავითაროთ. მხოლოდ და მხოლოდ ამ საშუალებით ძალგვიძს სარგებლობა მოვუტანოთ ჩვენ ხალხს, მივცეთ ნუგეში, ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ ტვირთი ისედაც გაჭირვებულ ჩვენს ხალხს

ტუშა იაკობიშვილი.

## მცირე შენიშვნა.*)

გაზეთი „მეგობარი“ ეხება რა ჩვენს გაზეთში დასტამბულს წერილებს ბ-ნ ვლ. ემუხვარისას, ჩვენც გადმოგვწვდა და უნდა გვაგრძნობინოს, რომ ტყვილად ჩავსთვალეთ ბ-ნ ემუხვარის შენიშვნები სამართლიანად.

გაზეთი „მეგობარი“ ბრძანებს:

ბ-ნ ვლ. ემუხვარს და თვით „სამშობლოსაც“, რომელიც ბ. ემუხვარის შენიშვნებს სამართლიანად სთვლის,—ამავე „სამშობლოში“ გადმობეჭდილი „ნუ თუ?“ ილია ჭავჭავაძისა ალბად მოაგონებდა იმ საშინელ და უაზრო ცილისწამებას, რომლის გასაბათილებლად ეს „ნუ თუ?“ დაიწერა და რომელსაც მისი ავტორის მკვლელობა მოყვა.

ირ. ევდოშვილს დასელებმა ცილი დასწამეს—მუშათა კლასს უღალატაო და მისი ნაწერები მუშებს წუმპედ მოანათვლიეს.

ამან სამართლიანად აღელვა მაშინ „სამშობლო“, რაზედაც დასელებმა ცილისწამებით უპასუხეს მის რედაქტორს ბ. ია ეკალაძეს „ბოლოკისტთა“ მეთაურობა დასწამეს. ეს არ უნდა დავიწყებოდა ბ. რედაქტორს, როცა ვ. ემუხვარის წერილს შენიშვნას უკეთებდა.

გაზეთ „სამშობლოს“ ხელმძღვანელისათვის არც სხვას დაუკლია ცილისწამება, მაგრამ თუ გულმშვიდად ჩაუკვირდება ბ. ციცხვი, რა დიდი მნიშვნელობაც აქვს ჯგუფურ ურთიერთობის გამოსარკვევად ბ-ნ ვლ. ემუხვარის წერილებს, დაგვეთანხმება, რომ ვლ. ემუხვარის შენიშვნები მართლაც, რომ სამართლიანია იმ დარგისა და იმ საგნის მიხედვით, რომელსაც იგი აგვიწერს.

რაც შეეხება კერძოდ „მარქსის ზნეობრივ ფიზიონომიას“ ამის შესახებ ალბად თვით ბ-ნ ემუხვარი გასცემს პასუხს.

ჩვენი მიზანი იყო და არის სიმართლის გამოკვლევა პარტიათა ცხოვრებიდან და ამ მიზანს, გვგონია, ნელნელა ვაღწევთ, თუმცა ჯერ ამის დამნახავი და დამაფასებელი ნაკლებია.

სწორედ ამიტომ გადმოვბეჭდეთ „ნუ თუ“? სწორედ ამიტომ აღგვაშფოთა ევდოშვილისადმი უდიერმა მოპყრობამ და სწორედ ამიტომვე დიდი სიამოვნებით დავბეჭდეთ ბ-ნ ემუხვარის წერილები და დავბეჭდავთ კიდეც!..

## პროვინციის ცხოვრება.

### დ. ხრესილი.

(ქუთაისის მაზრა) 20 ივლისი. ყველა სოფელს თითო რამე საშუალება აქვს ფულის შოვნისა და დ. ხრესილის გლეხობაც სადგურ„ სერნია-ვოდში“ მატარებლების გავლა-გამოვლის დროს, ხილის გაყიდვით ირჩენს თავს, მაგრამ. საუბედუროდ ამ გლეხობაზე სადგურ სერნია-ვოდის„ რკინის გზის მოხელე თურმე გაბრაზებული ყოფილა „რატომ მე ნაკლებ ნაკლებ ფასებში არ მაძლევთ ყველს, ქათამს, კვერცხს და სხვა სანოვაგესაო„. ამისათვის, რადგანაც დრომაც, ხელი შეუწყო (ხოლერის ნიშნებმა კავკასიაში) მოწვეულ იქნა ხსენებულ მოხელის წყალობით ტყიბულის სადგურიდან ჟანდარმი რომელმაც მოხელის დახმარებით წაართვა ბავშვებს და მოხუც კაცებსაც ხელიდინ კალათები მსხლით, ვაშლითა და კიტრებით სავსე, ჩაყარა დიდ ორმოში და გადაასხა ნავთი; საწყლები ხილის პატრონები კი დასტიროდნენ თავზე. საწყალ გლეხებს კი იმედი ჰქონდათ ხილს გავყიდით და მით პურს ვიყიდითო. შემდეგ ამისა ჟანდარმმა რაღაცას წერა დაუწყო და ერთმა გლეხთაგანმა ვასილ ნიკოლოზის ძემ კუბლაშვილმა წაიბუტბუტა „კარგად დასწერე კარგადო“. რკინის გზის მოხელეს ქართული კარგად ესმის, დაიჭირეს კუბლაშვილი, ბევრი სცემეს და მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ გაანთავისუფლეს მამასახლისის თანაშემწის თხოვნით.

შავთვალ წარბა.

## უკანასკნელი პასუხი ბ-ნ გ. იმნაიშვილს.

(დასასრული იხ. „სამშობლო“ № 417)

რაც შეეხება ბ-ნ ს. იაშვილს, მისი საქციელი ჩემთვის დღესაც გამოურკვეველია. იგი ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი იყო ჩემი, ამ სამი წლის სექციაში მუშაობისა და ათი წლის გიმნაზიაში ერთად მუშაობის დროსაც. არასოდეს ერთმანეთისათვის საწყენი სიტყვა არ შეგვიხვედრებია. პირიქით, როცა დაბეჯითებით გადავსწყვიტე სასკოლო სექციაში მუშაობისათვის თავი გამენებებინა, რის მონაწილენებულიც იყო ბ-ნი იმნაიშვილი, ს. იაშვილი პირველი იყო, სხვათა შორის, რომელიც დაბეჯითებით მირჩევდა დავრჩენილიყავი ისევ სექციის თავმჯდომარედ. ამის შემდეგ კი უეცრად ბ-ნ იაშვილში რაღაც უცნაური ცვლილება მოხდა. იგი „თავენებობას მწამებს და კოლეგიური ნაშრომის აბუჩად აგდებას.“ საქმე ეხება „რუს. სლ.“ I ნაწ. უდროოდ და შეცდომით აჩქარებულად სწორებას, რომელიც ჩემის უფლებით შევაჩერე. კარგად მოვიქეცი თუ ავად, ამას გამგეობა მალე გამოარკვევს. თუ ბ-ნი სეითის შესწორებანი იმნაიშვილისავით ავტორიტეტულად არ მივიღე და ამიტომ გაიბუტა და წავიდა სექციიდან, ეს სხვა საკითხია.

ბ-ნი იმნაიშვილი გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მტერს მიწოდებს. მისი ნებაა! მე ჩემი თავისი მტერი უფრო ვარ, თუ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა, რომელიც გასწორების გარდა, პრესაში დაცვასაც თხოულობს, კირგად მოეხსენება ფართო საზოგადოებას და იმნაიშვილისთანებმა რამდენიც უნდა გვლანძღონ და გვაგინონ, არა უშავს—საკმნათი აკაკის თქმისა არ იყვეს—უგუნურისაგან ძაგება ისეთივე სასიამოვნოა, როგორც გონიერისგან ქება.

ბ-ნი იმნაიშვილი განაგრძობს—მასწავლებელთა კრებებზე გამოირკვა, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს მომვლელი და პატრონი არა ჰყავსო, „რუს. სლ.“ I ნაწილი სკოლებიდან დევნილია, როგორც მასწავლებელთა სხდომაზე განაცხადეს უვარგისობის გამო („სამშ.“ № 391)

ბ-ნი იმნაიშვილი „რუს. სლ.“ I ნაწ. უვარგისობას გაიძახის. დღეს მას მხოლოდ „რუს. სლ.“ აკერია პირზე. „რუს. სლ.“ I ნაწ. ორი წლის წინად იქმნა შესწორებული და დაბეჭდილი. უოველ წელიწადს სახელმძღვანელო წიგნის სწორებას არავინ შეიწყნარებს, გარდა კორექტურულის შეცდომებისა. თუ შეცდომებს ხედავს ბ-ნი იმნაიშვილი ორი წლის წინად შესწორებულში და ისიც ისეთს თვალსაჩინო შეცდომებს, რომლის გამო წიგნი უვარგისად მიაჩნია, სად იყო ამ ორი წლის წინად, ხომ თვითონ დებულობდა მონაწილეობას შესწორებაში. 31 მარტს 1914 წელს სექციამ დაადგინა: „მოსმენილ იქმნა დ. ბოცვაძის მოხსენება „რუს. სლ.“ I ნაწ. საჭირო ცვლილებათა შეტანის შესახებ, კრებამ მოხსენებაში მოყვანილი და აღნიშნული დებულებანი საბუთიანად იცნო საზოგადოთ, ხოლო შესწორებული სახელმძღვანელო წიგნის განხილვა შემდეგი კრებისთვის გადასდო იმ პირობით, რომ სექციის თვითეულმა წევრმა უნდა გაიცნოს დაწვრილებით სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნებში მოთავსებული მასალა, რომელიც შეტანილია სახელმძღვანელო წიგნში და თავის მოსაზრებანი წარმოუდგინოს შემდეგ მორიგ კრებას“ ხელს აწერს, სხვა წევრთა შორის ბ.ნი გ. იმნაიშვილი. ამის შემდეგ გავლო სამმა კვირამ და 21 აპრ. სხდომაზე სექციამ დაადგინა: „სექციამ განიხილა დ. ბოცვაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენება „რუს. სლ.“ I ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ და დაადგინა: თანახმად წარმოდგენილი მოხსენებისა და სექციის მიერ აღნიშნული შესწორებისა შეტანილ იქნეს ცვლილებები „რუს. სლ.“ 1 ნაწილში და ამ ცვლილებათა მიხედვით დაიბეჭდოს მოხსენებული სახელმძღვანელო, ხოლო წინასწარ თანახმად განსვენებული ი. გოგებაშვილის ანდერძისა წარედგინოს ბ ნი ბოცვაძის მოხსენება გამგეობას, რომელსაც ეთხოვოს მოხსენების დადასტურება და „რუს. სლ.“ 1 ნაწილის ამ მოხსენების მიხედვით დაბეჭდვა“. ხელს აწერს, სხვათა შორის, ბ ნი გ. იმნაიშვილი, რომელიც გამოდგარა და ქვეყანას ეუბნება: „რომ არაფერი გაუკეთებია არც ბოცვაძეს და სხვა ვინმეს ავტორის სიკვდილის შემდეგ ხსენებული სახელმძღვანელოების გაუმჯობესობის შესახებ, ამას ის ამტკიცებს, რომ არც ერთი წიგნი შესწორებული არ არის. შესამე წელიწადი უსრულდება სასკოლო სექციას და მის თავმჯდომარე ბოცვაძეს და ამ სამი წლის განმავლობაში აბა რა გააკეთა ბოცვაძემ? განა ეს არ ამტკიცებს ბოცვაძის უმოქმედობას? („თანამ. აზრი“ № 109)

განა მართალია. რასაც ბ-ნი გერასიმე ბრძანებს, მაგრამ მას სხვა რაღაც უღიტენებს, რომლის გამოცნობა მისთვისვე მიმინდვია.

სრული ხალასი ცილისწამებაა, რომ გოგებაშვილის წიგნებს პატრონი და მომვლელი არა ჰყავსო. არაფერი ამისი მზგავსი მასწავლებელთა კრებაზე არა თქმულა. იგი შეთხუზულია იმნაიშვილის მიერ იმ აზრით, რომ დაანახვოს საზოგადოებას უვარგისობა („რუს. სლ.) 1 ნაწილისა, რომლის გასწორებაში ორი წლის წინად თვითონ იღებდა მონაწილეობას. მას და მისიანებს ვერ მოუნელებიათ ჩემი საქციელი „რუს. სლ.“ 1 ნაწილის უდროოდ და უაზროთ სწორების შესახებ და ახლა იმნაიშვილიც საჯაროდ მტრისა და მოყვრის გასაგონად ხმა მაღლა გაიძახის წიგნის უვარგისობაზე, რომელიც ორი წლის წინად-კი მოსწონდა. როგორც ოქმებიდან სჩანს ბ ნს იმნაიშვილს მასწავლებელთა კრებებზე მთელი მჭევრმეტყველობა „რუს. სლ.“ შესახებ დაუხარჯავს. თუ გინდ საკითხი სხვა საგანს ეხებოდეს, იგი ლაპარაკობს მაინც, „რუსკოე სლოვოდან“ იწყებს და კიდეც აალაპარაკა თითო ოროლა ქალაქის სკოლების გადაბირებული მასწავლებელი, რომელთაც შესაფერი პასუხი გასცა მთელმა კრებამ სახალხო მასწავლებლებისამ.

ვერც ერთი საფუძველი ჩემ მიერ მოყვანილი „რუს. სლ.“ I ნაწ. ნაადრევად დამახინჯებულად შესწორების შესახებ იმნაიშვილისა და მისი კომპანიის მიერ, იმნაიშვილმა თავის საპოლემიკო წერილებში ვერ დაარღვია. მხოლოდ კიდევ გვეკამათება пшениц-ის посѣв ად გადაკეთების შესახებ და გულუბრყვილოდ არწმუნებს მკითხველს, რომ посѣв-ს უკეთ გაიგებს ბავშვი, ვიდრე პურსაო. კიდევ იმეორებს пшеница—პური არ არის, „პური გამომცხვარს ენოდებაო“. აბა რა უთხრა ისეთს პედაგოგს, რომელმაც პურის სახელიც-კი არ იცის რას ნიშნავს და პური მხოლოდ გამომცხვარი გონია. ან посѣвъ—ნათესი, ჭირნახული, ჯეჯილიაო, რის გაგებაც ბავშს არ გაუძნელდებაო. Посѣвъ—მარტო ნათესს არ ნიშნავს, არც ჯეჯილს, არც ჭირნახულს. ნუ ბიძაშვილის ლექსიკონში მაინც ჩაეხედნა დალოცვილს იქ წაიკითხავდაო. Посѣвъ—დათესა; თესლი, სათესლე; ნათესი, დათესილი“. ჯეჯილი კი რუსულად არის всходъ. Посѣвъ одна изъ операцій искусственнаго развитія растеніи, состоящая въ закапываніи въ землю сѣмянъ (რუსული ლექსიკონი ბიტნერის რედაქციით გვ. 2260). აბა მითხარით, რით არის ცუდი გოგებაშვილის მიერ ნახმარი ფრაზა: Свиньча поѣдаетъ пшеницу (პურს)) и ячмень (ქერს) აქ ხომ ქართველი ბავშვი ორ სიტყვას სწავლობს, რეალ საგნის გამომხატველს; ბავშვი ამ შემთხვევაში პურს გამომცხვარ პურად არ წარმოიდგენს, არამედ პურის ყანად და ან რით სჯობს ერთი განყენებული სიტყვა посѣвъ-ი, რომელსაც უპირატესობას აძლევს იმნაიშვილი, ვერ გავიგია.

დასასრულ სრულიად უყურადღებოდ ვსტოვებ ბ ნი იმნაიშვილის დარბაისლურ ქართულს, იმ მარგალიტებს, რომელიც მისი ბრწყინვალე ბაგიდან წარმოდინარეობს ჩემდა შესამკობად. ყველა უძლურთ ხერხი ასეთია და სახარების სიტყვები, იმნაიშვილისვე მოყვანილი—„სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენო“, სწორედ მასზედ არის გამოჭრილი.

„ბოცვაძე ცოტა სიკეთეში შევიდა და თავი პესტალოცი ჰგონიაო“, დაცინვით ბრძანებს ჩვენი სწორუპოვარი მოკამათე. ძნელია გამოსაცნობად თუ რა „სიკეთე“ აქვს მხედველობაში, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ბ ნ იმნაიშვილს. ხოლო რა სიკეთეც მე შემამთხვიეს ამ ბოლო წლებში, იმას იმნაიშვილსაც კი არ ვუსურვებთ. არც პესტალოცად დამისახავს არაოდეს ჩემი თავი, მაგრამ იმნაიშვილზე მეტი მგონია კი უნდა მესმოდეს იმ დარგში, რომელსაც 28 წელიწადი ვემსახურები და არც ისეთ ფურად მიმაჩნია ბ ნი იმნაიშვილი, რომ მისი ჩასაწიხლი გავხდე.

დ. ბოცვაძე.

## ომში დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები.

25 ივნისიდან 2 ივლისამდი დაიჭრა და მოკვდა შემდეგი ქართველი ჯარისკაცი 587 კუბანსკი დრუჟინის.

ქუთაისის მაზრა: ბუხაიძე ერასტი, ტყეშელაშვილი დიომიდე, ხარაბაძე ლავრენტი‘ მამრეკიშვილი სერგო, გუბელაძე ვარლამ, ფხაკაძე ლავრენტი.

ოზურგეთის მაზრა: კომელარია თედორე (მოკლულია), ‚ჭეიშვილი ვასილი, გელაძე სოლომონ, გოგოლაძე კოწია.

შორაპნის მაზრა: შუბითიძე ივანე (მოკლულია) პერანიძე თომა.

რაჭის მაზრა: ჩიქვილაძე პართენ·

გორის მაზრა: ტაკტაკიშვილი ვასილ, გოგიჩაიშვილი ილიკო, გელეტაშვილი მიხეილი, გავაშვილი გიგო, ხაზაშვილი შაქრო, ქერდეკაშვილი ტატი (ტატო), ხოზაშვილი დიმო.

ამათში ყველანი სუბუქათ არიან დაჭრილი, მხოლოდ ივანე შუბითიძე და თედორე კომელარია გარდაიცვალენ ჭრილობის გამო.

ჩვენ დანარჩენი მათი ამხანაგები კარგათ ვართ და სალამს ვუძღვნით სამშობლოს, მშობლებს ნათესავს და ნაცნობ მეგობრებს.

გუშინწინ თბილისში მოუყვანიათ შემდეგი დაჭრილი აფიცრები:

ოსმალეთის ასპარეზზე დიიჭრა პოდპორუჩიკი ალექსანდრე ვ გორგაძე.

პორუჩ. გ. ალ. თუხარელი, კორნეტი არ. ზაქ. ნაცვლიშვილი და სადეზინფექციო კამერის გამგე ლავრ. თეოდ. მაჩაიძე.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 30 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 „ |

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ქორქოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ევზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.
თ.

# სუსუნატი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი **„გონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია**: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უებარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის.
Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул, № 12 отд. 1

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოდეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**
ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

*) რადგანაც გუშინდელ ამ წერილში მთელი ნახევარი სვეტი გამორჩენიათ აუწყობელი და ამით წერილს აზრი დაიკარგა, ვბეჭდავთ ხელმეორედ, სრულიად.